ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 73

17 დეკემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან - ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ" (№11-01193453017 12.12.2019წ; №11-0119351579 17.12.2019წ).

დღის წესრიგი დამტკიცდა.

თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების შესახებ ისაუბრა ლევან მიქავამ. წარმოდგენილია შესათანხმებლად საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობების მოთხოვნა მათთვის „შრომის ანაზღაურებისა" და „საქონელი და მომსახურების" მუხლებში თანხების გაზრდის შესახებ. იზრდება: საფინანსო , ეკონომიკური განვითარების, შესყიდვების, მუნიციპალური ინსპექციის, უსაფრთხოების, ჯანდაცვის, კულტურის საქალაქო სამსახურების, ასევე რაიონული გამგეობების შრომის ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურების მუხლები, ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტის, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის, ინფრასტრუქტურის, იურიდიული, გარემოს დაცვის და ურბანული განვითრების საქალაქო სამსახურებისათვის მიკუთვნებულ შესაბამის მუხლებში არსებული ეკონომიების ხარჯზე. გარდა ამისა იზრდება პროგრამის „სპორტული ღონისძიებების„ სუბსიდიის მუხლი, პროგრამის „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია" არაფინანსური აქტივებში არსებული ეკონომიის ხარჯზე. სულ ხდება 655600 ლარის გადანაწილება.

ასევე თბილისში ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გაძლიერების შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის, პროგრამაში „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ ემატება 338517 ლარი, პროგრამაში „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ დასრულებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე.

**მომხრე-6, თავი შეიკავა ირაკლი ზარქუამ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია